ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №251207

ნომერი: AR160272

თარიღი : 20.06.2012

გაცემის თარიღი : 06.07.2012

გაცნობის თარიღი : 06.07.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სანაპიროს ქ. N7. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარი დურგლიშვილი პ/ნ 01027039346
- თბილისი რ.ხომლელის ქ. კორ. 3 ბ. 78

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. N7–ში არსებული შენობის რეკონსტრუქციას.

გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განიხილა გაერთიანებულმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N26, 26.06.12 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც დადებითი შეფასება მიეცა რეკონსტრუქციის I ვარიანტს.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ნებართვის მისაღებად საჭიროა წარმოადგინოთ მხოლოდ გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს წევრების მიერ მოწონებული საპროექტო ფოტომონტაჟი (I ვარიანტი) და განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზის გამოსწორებისა და გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს წევრების მიერ მოწონებული საპროექტო ფოტომონტაჟის (I ვარიანტი) წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge